ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№3-4, აპრილი-მაისი 2021

სტიპენდიანტი პირველკურსელები

"მე ვარ ჯუბა დოლიძე, 18 წლის. დავიბადე 2002 წელს ქალაქ ბათუმში. 2020 წელს დავასრულე „მომავლის სკოლა". მოსწავლეობის პერიოდში ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსში, როგორიცაა - „ეტალონი'', „ რა სად როდის'' და ასე შემდეგ. ჩართული ვიყავი კინგსისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციის ქართული ენის, ინგლისური ენისა და მათემატიკის ოლიმპიადებში. მაქვს მიღებული არაერთი სიგელი. ასევე ყოველწლიურად მქონდა ლიტერატურული მარათონი, სადაც ერთი ქართული და ერთი უცხოური ავტორის წიგნები გვეძლეოდა წასაკითხად და შემდეგ კითხვების სახით ვაჯამებდით და ვმსჯელობდით მათ შესახებ. 2018 წლის იანვარში გავემგზავრე სომხეთის დედაქალაქ ერევანში 5 დღით სასწავლო-შემეცნებითი მიზნით. 2020 წელს ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები, მოვიპოვე 70%-იანი გრანტი და ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე.

– რამდენად ველოდი სტიპენდიას? – ვფიქრობ, ბევრი ვიშრომე სტიპენდიის მოსაპოვებლად, ნამდვილად ღირდა „თეთრად გათენებული ღამეები''. სტიპენდიას, რა თქმა უნდა, ველოდი, მაგრამ როცა დამასახელეს სტიპენდიანტთა შორის, მაინც ამაღელვებელი ემოცია იყო. მსურს კიდევ გავხდე სტიპენდიის მფლობელი და შევეცდები მივაღწიო ამ მიზანს.

ამ ერთ წელში, ცოდნის შეძენასთან ერთად, შევიძინე მეგობრები. დავისახე ახალი მიზნები და იდეები. პანდემიამ დიდი კვალი დაამჩნია ყველაფერს, მათ შორის განათლებასაც. მოსწავლეებსა და სტუდენტებს მოუწიათ ალღო აეღოთ ამ დიდი გამოწვევისთვის და მათ შორის მეც. მართლაც, ონლაინ სწავლება ბევრად ჩამოუვარდება ცოცხალ აუდიტორიას, მაგრამ ვფიქრობ რომ ჩემთვის არ იყო დიდად რთული „ზუმის განათლებაზე მიჩვევა". ვფიქრობ, რომ თუ სწავლა სურს ადამიანს, ნებისმიერ პირობებში ისწავლის.

ჩემი სამომავლო გეგმები... როგორც ყველას, მეც მსურს წარმატებით დავასრულო თითოეული კურსი, პროფესიის დავსაქმდე. ასევე მსურს გაცვლითი პროგრამით გავემგზავრო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მანამდე კი ყველაფერს გავაკეთებ ამისთვის., პანდემიის გამო მეც არ მქონია შესაძლებლობა, უნივერსიტეტში მესწავლა, მაგრამ მაინც მაქვს ამის იმედი... სტუდენტური ცხოვრება ძალიან მაინტერესებს და წარმომიდგენია როგორც ენერგიული, ცოცხალი ურთიერთობები, მეგობრებთან და ლექტორ-მასწავლებელთან, საინტერესო და ახალი გამოწვევები"...

„მე ვარ დიანა ევგენიძე, ბსუ-ს ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის პირველკურსელი.

ამ სტიპენდიის შესახებ ინფორმაციას მანამდეც ვფლობდი და რადგან უნივერსიტეტში 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით ჩავირიცხე და მიმდინარე სემესტრიც საკმაოდ კარგად დავასრულე, ლოგიკური მოლოდინი მქონდა, თუმცა დარწმუნებული არ ვყოფილვარ.

ჩემი ერთი წელი სტუდენტის სტატუსით, ისევე როგორც ალბათ

ყველა პირველკურსელისა, საკმაოდ რთული და შრომატევადი იყო. წლის დასაწყისში დამყარებული იმედები, რომ მეორე სემესტრში მაინც მოვახერხებდით სააუდიტორიო სივრცეში სწავლის გაგრძელებას, ეპიდ-სიტუაციის გამო გაგვიცრუვდა. მიუხედავად ონლაინ-რეჟიმის მიერ გამოწვეული სირთულეებისა, ჩვენ მაინც მოვახერხეთ არსებულ ვითარებასთან ადაპტირება და კვლავაც განვაგრძობთ საკმაოდ ხარისხიანი განათლების მიღებას, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი ფაკულტეტის დეკანი, ლექტორები და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ასე რომ, ვფიქრობ, აღნიშნულ გამოწვევებს საკმაოდ ეფექტურად გავუმკლავდით. ვიმედოვნებ, ეპიდმდგომარეობა მოგვცემს საშუალებას მომავალი სასწავლო წელი აუდიტორიებში დავიწყოთ".

გახდი ბსუ-ელი

ქეთევან მახარაძე,
მომავალი
სტომატოლოგი:

– რა განცდა გქონდათ, როცა მარტში პირველკურსელები აუდიტორიას დაუბრუნდით?

– როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე მოგვიწია კოვიდ-19 -ის გამო ონალინ რეჟიმში მიგვეღო განათლება. რეგულაციებისა და ვირუსის გამო დავთანხმდით ზუმ-განათლებას, თუმცა ის ვერ შეედრებოდა საუნივერსიტეტო სივრცის განათლებას. როცა გავიგეთ, რომ მარტიდან, ნაწილობრივ მაინც ვივლიდით უნივერსიტეტში, აჟიტირებული ვიყავი. სწორედ ეს დღე იყო ჩვენთვის პირველი, როდესაც ნამდვილად ისე შევედით, როგორც სტუდენტები. ზუმგანათლებას მიჩვეული პირველკურსელები, რომლებმაც საერთოდ არ ვიცოდით აუდიტორიაში რა ხდებოდა და როგორ ცოტა ვღელავდით, თუმცა სიხარული და მონდომება ყველაფერს ფარავდა. მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტში მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები დავუბრუნდით, რომლებიც არც თუ ისე ბევრნი ვართ და ამის გამო, უნივერსიტეტში სრული სიმშვიდეა. ისეთი ჟრიამული და ხალისი არ ისმის, როგორც წინა წლებში, როცა ხალხი ირეოდა აქეთ-იქეთ. სწორედ ეს მომენტი ცუდი აღმოჩნდა, თუმცა მაინც კარგია ჩვენი სპეციალობიდან გამომდინარე, რომ დავბრუნდით აუდიტორიაში, რადგან ამ მიმართულებას ეკრანებიდან ვერ ისწავლი. ასევე სასიხარულო იყო ის, რომ ლექტორთან პირდაპირი კონტაქტი, ბავშვებთან და ზოგადად ადამიანთან ცოცხალი ურთიერთობები გვექნებოდა, რასაც მოკლებულნი ვიყავით. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ძალიან გაგვიხარდა და ვიმედოვნებ, რომ ასეთი პრობლემის წინაშე დადგომა აღარ მოგვიწევს.

– ზუმგანათლება და სააუდიტორიო განათლება...

– ნებისმიერ ადამიანს, ვისაც კარგი განათლების მიღება უნდა, რა თქმა უნდა, აირჩევს საუდიტორიო განათლებას. საზოგადოებაში დამკვიდრდა ასეთი ფრაზა, რომელიც ამ პერიოდში ხშირად მესმოდა: „თუ სწავლა გინდა, ნებისმიერ სივრცესა და გარემო პირობებში ისწავლი“. ნაწილობრივ შეიძლება სიმართლეს ესადაგებოდეს, თუმცა ჩემთვის ასე არ აღმოჩნდა. გარემოპირობების გამო მომიწია, რომ ორივე სიტუაციაში მიმეღო

განთლება, მაგრამ რა თქმა უნდა, აუდიტორიაში მიღებული განათლება მაინც სხვაა. როდესაც ზუმში მქონდა ლექცია-სემინერები, თავიდან შემართებით მივუდექი, თუმცა რამდენიმე კვირის შემდეგ სიზარმაცემ შემოგვიტია ყველას და ისე სერიოზულად აღარ ვუყურებდით, როგორც თავიდან. ხოლო აუდიტორიაში როცა დავიწყე სიარული, როცა ლექტორს შეჰყურებ თვალებში და ის შენ, სულ სხვა კუთხით უყურებ ყველაფერს და მობილიზებული ხარ ყველანაირად. ეკრანებთან მთელი დღე ყოფნა და რუტინული დღეები მოსაწყენი იყო და არ იყო გამორიცხული ჩვენი ასე ყოფნა, თუმცა დღეს უკვე შეიცვალა ყველაფერი და რასაც ქვია სტუდენტის აქტიური ცხოვრება მეც დავიწყე მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სემინარებსა და პრაქტიკულებზე დავდივარ. გამოუვალ სიტუაციში შეიძლება კარგი იყო ზუმგანათლება, თუმცა ჩემთვისაც და ყველა სტუდენტისთვისაც საუდიტორიო განთლება ზედმეტი საუბრის გარეშე კარგია და მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენ სკოლაში აღარ ვართ, არამედ ჩვენი მომავალი ჩვენს ახლანდელ განათლებაზეა დამოკიდებული.

– ჩემი ერთი დღე...

– ჩემი დღეები და ყოველდღიურობა არ გამოირჩევა განსხვავებულობით სხვა სტუდენტებისგან, რადგან უმეტეს დროს სწავლასა და მეცადინეობაში ვატარებ. ვცდილობ, რომ თავისუფალი დროც ამას დავუთმო, რადგან ვფიქრობ, რომ საპასუხისმგებლო პროფესია ავირჩიე და ზედაპირული დამოკიდებულებით ვერაფერს მივაღწევ. რაც შეეხება ჩემს ერთ დღეს, კვირის გარდა ყველა დღეს დაკავებული ვარ. დილით ადრე მიწევს ადგომა, რომ მოვემზადო და წავიდე უნივერსიტეტში ან ონლაინ ლექციას დავესწრო. თითქმის ნახევარ ან ზოგჯერ მთელ დღესაც უნივერსიტეტში ვატარებ. შემდეგ კურსელები ვიკრიბებით პარკში ან სადმე, თუ დრო გვაქვს და განტვირთვის საათს ვაწყობთ და ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე. შემდეგ სახლში მივდივარ, ვისვენებ და მომდევნო დღისთვის ვემზადები. ბოლოს, ძილის წინ კი ვათვალიერებ სოციალურ ქსელს და ვეცნობი სიახლეებს. ჩემი ასეთი დღე თითქმის რუტინაა, რადგან კოვიდ რეგულაციების გამო შეზღუდულები ვართ სხვადასხვა აქტივობისგან და უმეტესად ასე გადის ჩემი ერთი დღე.

– მე და უნივერსიტეტი...

– სკოლის დამთავრების შემდეგ დიდი მონდომებით ვემზადებოდი, რომ ჩამებარებინა სასურველ უნივერსიტეტსა და ფაკულტეტზე. საბოლოო არჩევანი გავაკეთე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, რადგან ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში და სტომატოლოგიური სივრცეც კარგადაა მოწყობილი. სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა ჩემი ეს გადაწყვეტილება. უნივერსიტეტი და ლექტორები ორიენტირებულნი არიან ჩვენს საუკეთესო განათლებაზე და ყველანაირად ცდილობენ, რომ იმაზე მეტი გვასწავლონ და მოგვაწოდონ ვიდრე შეიძლება სხვაგან. ნებისმიერ პრობლემას ითვალისწინებენ გარკვეულ ჩარჩოში და ხელს გიწყობენ ყველანაირად მაგალითად თუ მუშაობ. ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტის ხელშეწყობა მნიშვნელობვანი ფაქტორია სტუდენტისთვის. სწორედ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის კარგ დამოკიდებულებას ასეთი ფაქტორები განაპირობებს.

– სამომავლო გეგმები...

– სამომავლო გეგმები ცოტა რთული თემაა, რადგან შეიძლება

რაღაცას ისახავდე მიზნად, მაგრამ ნებისმიერ დროს კონკრეტულმა გარემოპირობებმა შეიძლება შენი მიმართულება შეცვალოს და სხვა გზით წახვიდე. ამ ყველაფრის მიუხედავად მაინც ვისახავთ გეგმებს, რომ მიზანის განხორციელებისთვის მივისწრაფოდეთ. ჯერ მხოლოდ პირველკურსელი ვარ, თუმცა მეც მაქვს ჩემი გეგმები. ამ ეტაპზე ვსწავლობ უნივერსიტეტში, რომ კარგი სპეციალისტი გამოვიდე და არა უბრალო სტომატოლოგი. სტომატოლოგიაც იმიტომ ავირჩიე, რომ შეგიძლია ნელ-ნელა დაეუფლო სხვადასხვა განხრას და არ იყო მხოლოდ ერთში მოქცეული. დიდი სურვილი მაქვს ევროპაში წავიდე და ევროპული განათლება მივიღო, გავეცნო სხვასხვა სიახლეს, ჩამოვიდე ჩემს ქვეყანაში და გამოვიყენო ის დაგროვილი ცოდნა ქართველი ხალხისთვის. ძირითადად ჩემი სამომავლო გეგმა კარგი განათლების მიღება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

მარიამ ირემაძე,
პირველკურსელი:

„დიდი მოლოდინის ქვეშ ვიყავი, მინდოდა ის შეგრძნებები მეც მქონოდა, რასაც ის სტუდენტები განიცდიდნენ, რომლებიც უკვე უნივერსიტეტში იყვნენ.

საუდიტორიო განათლება უფრო მისაღებია ჩემთვის, რადგან პრაქტიკულად ყველაფერი თვალნათელია, მეტი კომუნიკაბელურობაა და ლექტორებთან მეტი შეხება გაქვს.

ჩემი ერთი დღე... დილა იწყება ვარჯიშით, შუადღით ვმეცადინეობ, ვესწრები ლექციებს, თუ დრო მრჩება ვსეირნობ, საღამოს ვისვენებ.

უნივერსიტეტში ყოფნა მახარებს. ვიგებ სიახლეებს, ვეცნობი მათ, ვსწავლობ მაქსიმუმს, მასწავლა მეტად კომუნიკაბელურობა ლექტორებთან, კურსელებთან.

მსურს გავხსნა საკუთარი კლინიკა, რის შემდეგაც იქ გავნაგრძობ იმ კარიერას, რაც ავირჩიე“.

„რა არის მასწავლებელი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რასაც ასწავლის“ – კარლა მენინგერი

ჩემთვის არც ისე ძნელია და არც მთლად ადვილი, ვწერო ქალბატონ მზექალა შანიძეზე, თუმცა უდავოდ ბევრია სასაუბრო და მოსაგონებელი, რაც უდიდეს სიამაყესა და სითბოს მგვრის. მინდა გიამბოთ 95 წლის გამოჩენილ ენათმეცნიერზე, დიდებულ ქართველსა და გამორჩეული ადამიანური ბუნების ქალბატონზე, რომლის ღვაწლიც განუზომელია ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში. ქალბატონზე, რომელიც ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი გახლდათ.

მზექალა შანიძე აკადემიკოს აკაკი შანიძის ოჯახში 1926 წლის 16 იანვარს დაიბადა. იგი, როგორც თავად ამბობს, ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე, ყურადღებიანი და ერთგვარად ინტელექტუალური იყო.

1943 წელს მზექალა შანიძე ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1948 წელს დაამთავრა. 1948 – 1951 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში. მისი ხელმძღვანელი გახლდათ გიორგი წერეთელი, სწავლის დროს იგი მიავლინეს ქალაქ ლენინგრადში (ამჟ. სანკტ-პეტერბურგი), მისი ხელმძღვანელი გახლდათ ცნობილი არაბისტი აკადემიკოსი ეგნატე კრაჩკოვსკი. 1951 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ფარინგალური ბგერები ძველ ებრაულ ენაში“.

1953-2006 წლებში ის სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიტოლოგიისა და ძველი ქართული ენის კათედრებზე; უძღვებოდა ძველი ებრაული ენის, სემიტურ ენათა შედარებითი გრამატიკის, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კურსებს; მან 1974 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე - „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“, რომელიც შემდეგ წიგნად გამოიცა. 1996-1998 წლებში სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერმა წაიკითხა „ქართული ენისა“ და „ძველი ქართული ენის“ კურსები.

ქალბატონი მზექალა სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების (1953 1961 წწ.) და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961–1968 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, ამავე ინსტიტუტის კონსულტანტი (2002 წლიდან დღემდე), საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991 წწ.).

მზექალა შანიძე მონაწილეა მრავალი სამეცნიერო ექსპედიციისა, მათ შორის, სინის წმ. ეკატერინეს მონასტერში (1996, 2002, 2009 წწ.), ასევე არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა (1996 წ. საერთაშორისო ლინგვისტური სემინარი, ბერგენი; 1999 წ. ლინგვისტიკის ისტორიის საერთაშორისო კონგრესი, პარიზი). იგი ავტორია 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა; ცალკეული შრომა დაბეჭდილია გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, რუსეთსა და საბერძნეთში. მისი სამეცნიერო-კვლევითი ინტერესის სფეროებია: სემიტოლოგია, კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია, ბიბლეისტიკა, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია.

1995 წლიდან მზექალა შანიძე გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრია, მან 1991 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მოაწერა ხელი, 2015 წელს გახდა თბილისის საპატიო მოქალაქე. 1990 წელს მან მიიღო აკაკი შანიძის სახელობის საუნივერსიტეტო პრემია, 2011 წელს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია, 2012 წელს - შოთა რუსთაველის სახელობის პრემია, 1996-სა

და 2015 წლებში - ღირსების ორდენი, 1986 და 2016 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი, 2019 წელს - ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ბრწყინვალების ორდენი, 2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედალი, 2021 წელს კი - თამარ მეფის ორდენი.

უდიდესია მისი ღვაწლი უძველესი ქართული წერილობითი ძეგლების კრიტიკულ პუბლიკაციაში. იგი ამ ასაკში ისევ ენერგიულად, ჩვეული შემართებით განაგრძობს ხელნაწერებზე მუშაობასა და საზოგადოდ, სამეცნიერო საქმიანობას.

90-იანი წლები იდგა, როცა თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩავირიცხე, კათედრამ კი ხელმძღვანელად პროფესორი მზექალა შანიძე გამომიყო. უმძიმეს პერიოდში მიწევდა სამეცნიერო თემაზე მუშაობა, რასაც არ დავუფრთხივარ. იგი არაჩვეულებრივი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო. ყოველი დღე იწყებოდა სამეცნიერო ლიტერატურის შერჩევით, აკადემიის, ან თსუ-ს, ხელნაწერთა ინსტიტუტის, ეროვნულ ბიბლიოთეკებში ვიზიტით, სასურველი ლიტერატურის მოძიება-დამუშავებით. ხელმძღვანელის ყურადღება-რუდუნების გარეშე არ ჩაუვლია არცერთ დღეს. უდიდესი წრთობა მივიღე. მუდამ შთამაგონებდა, რომ არცერთი უნარი „დედის მუცლიდან არავის დაჰყოლია“ და რომ სასურველის მიღწევას მხოლოდ გულითადი შრომით შევძლებდი.

გარდა იმისა, რომ სამეცნიერო მუშაობას, სამეცნიერო ეთიკას მაზიარა, მე ძალიან დავუახლოვდი ამ ერთი შეხედვით პირქუშ და შეუვალ, პრინციპულსა და უმკაცრეს ადამიანს, რაც ბევრისთვის გასაკვირი და წარმოუდგენელი აღმოჩნდა.

მალე ამ გენიალურ ადამიანთან ჰარმონიული ურთიერთობის უდიდეს სიამოვნებას ვეზიარე. ამ პერიოდში მე მომიხდა მათს ოჯახში, აკადემიკოს აკაკი შანიძის ოჯახში, ცხოვრებაც. პირად ცხოვრებაში ეს მართლაც განუმეორებელი დროა. დრო, როცა დიდებული წინაპრის, „ქართული ენის გრამატიკის“ ავტორის ოჯახში ვცხოვრობდი, მის წიგნებს ვხედავდი და ვეხებოდი, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რადგან უაღრესად დიდი სულიერი საზრდო მივიღე.

ამ ურთიერთობის განუყრელი ნაწილი გახლდათ ის, რომ ყოველდღიურად თვალწინ ცოცხლდებოდა სინის მთა, წმ. ეკატერინეს, ბაჩკოვოსა თუ ათონის ივერთა მონასტრების ხელნაწერების თავგადასავლები. ესაა ენით აღუწერელი სიყვარული, გადამდები გრძნობა, დღემდე რომ გამომყვა. უნდა გითხრათ, რომ უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ გაკვეთილებს დავსწრებივარ და ეს ძალიან მეამაყება.

ქალბატონი მზექალა ზოგჯერ მესაუბრებოდა ოჯახის წარსულზე, წინაპართა ისტორიებზე, აკაკი შანიძის ცხოვრების გზასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მამის მიერ დარგულ ხეებსა და მცენარეებზე, დღესაც რომ ამშვენებს ეზოს.

განსაკუთრებით ხშირად იმართებოდა საუბარი თანამედროვე ქართული ენის სალიტერატურო ნორმალიზაციის საკითხებზე. ძალიან განიცდიდა თანამედროვეთა აუგ დამოკიდებულებას; იმას, რომ ანგლიზმებმა ჩაანაცვლა რუსიციზმები, იმას, რომ მედიასაშუალებების ენა ძალიან შერყვნილია. ის დასძენდა, რომ მასზე ზრუნვა თითოეული ქართველის ვალი და დიდი პასუხისმგებლობაა. ერთხელაც მითხრა, ძალიან ვწუხვარ, ჩვენს ენას ასე რომ ეპყრობიანო, ლექსიც დავწერე, მოდი წაგიკითხავო:

„გაგვიინგლიშდა“ ენა ქართული
ფაქტს ვერ უარყოფ, არის ჯიუტი...
უინგლისუროდ ნაბიჯს ვერ წადგამ,
იქნები ყრუვი, მუნჯი და კუტი,
ვერ გამიგია, სად ვცხოვრობ, სად ვარ,
თბილისია თუ კონექტიკუტი.
ამერიკაში ვიცი კატები,
სულ ინგლისურის ხმაზე კნავიან
აქ ჩემი კატაც სწავლობს ინგლისურს,
ამერიკელად ყოფნა სწადია.
გზას ვერ გაიგნებ თბილისში ახლა,
თითქოს უცხო ხარ მოსული შორით
სადაც ფეხს გადგამ, შეგეფეთება
„ლითლ ვან დვრაბი“ ან „ნიუ სთორი“.
ნეტავ რას ყიდის ქოთნებს თუ ქვაბებს
„დი კოფი ბინ ენდ დი თილიფი“.
ან კი რა არის „ბოდი ლაინი“
„ქეაფრი დრესის“ და „ბესთი სლიფი“.
ზევით მთაწმინდა შეიძრა მიწამ,
ილიამ კუშტად ჩამოიხედა:
- რად წაგიბილწავთ ენა ქართული,
რაები მესმის ან რაებს ვხედავ?
ინგლისიდანაც ყვირის შექსპირი,
წამხდარ ინგლისურს ისიც შესტირის
მოუსავლეთშიმც წასულა ყველა,
მაგის მომგონი, ბრიყვი ვინც არის
გახდით მოყვრისგან პირში საძრახი,
მტრისგან ზურგსუკან დასაცინარი!

აღნიშნულ ტენდენციას აკრიტიკებდა, თავად კი შესანიშნავად ფლობს უცხოურ ენებს. ყოველთვის მაოცებდა ქალბატონი მზექალას ეს უნარი. თავისუფალ დროს თარგმნიდა და მაზიარებდა კიდეც თავის შემოქმედებას. მარტო ბიბლიის ორიგინალის ბერძნულ ვერსიებთან შედარების მაგალითები რად ღირს?! მაშინ, როცა საჭირო ფორმის დაძებნა იყო აუცილებელი, იგი ბერძნულსა და სომხურ ტექსტებს მიმართავდა დასადგენად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად ასაკისა, მას დღემდე აქვს სწორი და პროგრესული ხედვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ბოლო დროს ხშირად დაიწუწუნებს ხოლმე მხცოვანების გამო. იტყვის: -„აღარავინ დამრჩა ძველი მეგობრებიდან“ ან „-ვინ იცის, მზია, იქნებ ცოცხალი აღარ დაგხვდე“ „-ეჰ, რას იზამ, ასეა ცხოვრება, მიდიხარ ადამიანი“...

უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ მე მზექალა შანიძის დისერტანტი გახლდით, უზომოდ ამაყი ვარ, რომ მე მასთან ახლო ურთიერთობის შესაძლებლობა მქონდა და ძალიან მადლიერი ვარ, რომ ჩემმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის - პროფესორ მარინე გიორგაძის ინიციატივით, რექტორის - ბატონ მერაბ ხალვაშის თაოსნობით ქალბატონი მზექალა შანიძის ღვაწლი დააფასა და მას ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.

მზია ხახუტაიშვილი,
ასისტენტ პროფესორი

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება – ბსუ

„სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება – ბსუ“ წარმოადგენს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წევრობაზე დაფუძნებულ სტუდენტურ გაერთიანებას.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიზნებია: სტუდენტებში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების ორგანიზება, ბსუ-ში სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, საჯარო ლექციების, სემინარების, ტრეინინგებისა და სეზონური სკოლების მოწყობა/ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა კვლევითი უნარ-ჩვევების ამაღლებას, რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სასტიპენდიო კონკურსებსა და კვლევით საგრანტო პროექტებში სტუდენტთა ინფორმირებისა და ჩართულობის ამაღლება და სხვა.

„სტუდენტები აკადემიური განვითარებისთვის“ პროექტის მონაწილეთა დაჯილდოება

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ-ს წევრები არიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის, სხვადასხვა სპეციალობის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები. თითოეულ წევრს აქვს დებულებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები. ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრს უფლება აქვს: მიიღოს მონაწილეობა ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, გეგმების, პროგრამების, პროექტებისა და სხვა აქტიურობების შემუშავებასა და განხორციელებაში, აირჩიოს და არჩეულ იქნეს ბსუ-ს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მმართველ ან მაკონტროლებელ ორგანოებში და სხვა.

2020 წლის ოქტომბრიდან სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ-ს ხელმძღვანელი არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის სპეციალობის III კურსის სტუდენტი მარიკა ბროლაძე.

მე ვარ მარიკა ბროლაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ბიოლოგიის სპეციალობის III კურსის წარჩინებული სტუდენტი. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე მაქსიმალურად ვცდილობდი, რომ აქტიურად მიმეღო მონაწილეობა

სხვადასხვა სახის ღონისძიებაში და სწორედ ამ დროს გამოჩნდა „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ“. პირველი კურსიდან ვარ საზოგადოების წევრი და სხვადასხვა სპეციალობის აქტიურ სტუდენტებთან ერთად ვახორციელებდი და ვახორციელებ სამეცნიერო ღონისძიებებსა თუ აქტივობებს. მალევე გავხდი საზოგადოების ხელმძღვანელის, არჩილ ბერიძის მოადგილე. გასული წლიდან კი ვარ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი და მიწევს მუშაობა შესანიშნავ გუნდთან ერთად. ამ წლების განმავლობაში მსგავსი სახით მუშაობამ მომცა შესაძლებლობა ისეთი უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების და წარმოჩენის, როგორიცაა ჯგუფური მუშაობა, ლიდერობა, თანამშრომლობა და სხვა. ვფიქრობ, რომ ის საქმიანობა რომელსაც ვახორციელებთ ჩვენ, ერთად, ნამდვილად სასარგებლოა სხვა სტუდენტებისთვის და ეს ორმაგად უფრო დიდ მოტივაციას მაძლევს, რომ გავაგრძელო აქტიური საუნივერსიტეტო ცხოვრება.

გარდა საუნივერსიტეტო ღონისძიებებისა, აქტიურად ვარ ჩართული სხვა სახის ღონისძიებებში, როგორიცაა „მარიკულტურის სასწავლო კურსი“, „აგრობიზნესი ახალგაზრდებისათვის“ და სხვა. სამომავლოდ კი ვგეგმავ სწავლის გაგრძელებას ზღვის ბიოლოგიის მიმართულებით“.

სტუდენტთან სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას წარმართავს საზოგადოების საქმიანობას დებულების მიზნების მისაღწევად, ხელმძღვანელობს საზოგადოებას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ყველა

„გადააზრების კრიტიკული ზღვარი“, ერთ-ერთ შეხვედრა.ჯპგ



ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტთა სამცნიერო კონფერენცია 2021 თან დაკავშირებით

სამართლებრივ ურთიერთობებში, ხელმძღვანელობს საზოგადოების პროექტების შედგენას და მათი განხორციელების პროცესს, ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერია ლური ქონების მართვას, უძღვება საზოგადოების წევრებთან და წევრობის მსურველებთან მუშაობას გამგეობის მიერ დადგენილი წესით, ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს და სხვა.

ხელმძღვანელის მოადგილეები არიან იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების III კურსის სტუდენტი მირიან ფუტკარაძე და საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტის, მედიცინის III კურსის სტუდენტი მარიამ ტყეშელაშვილი.

„მე გახლავართ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, მედიცინის სპეციალობის მე-3

კურსის სტუდენტი მარიამ ტყეშელაშვილი. ჩემი მომავალი პროფესიიდან გამომდინარე, დიდ დროს საავადმყოფოებში ვატარებ, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ აქტიურად ჩავერთო საუნივერსიტეტო ღონისძიებებში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი პროექტი იყო „სტუდენტები აკადემიური განვითარებისთვის“, რომელსაც ორგანიზებას უწევდა „სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ“. აღნიშნულმა ღონისძიებამ იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გამიჩნდა სურვილი მეც გავმხდარიყავი მისი წევრი და როდესაც 2020 წელს გამოცხადდა მიღება, გავაგზავნე სამოტივაციო წერილი. მალევე მივიღე დადებითი პასუხი. შემდეგ გავხდი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავჯდომარის - მარიკა ბროლაძის მოადგილე. პანდემიის გამო, აქამდე დიდად ვერ ვაქტიურობდით, რადგანაც შეჩერებული იყო ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ახლა ორგანიზატორობას ვუწევთ „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 2021“-ს. ვცდილობ, დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, გამოვნახო დრო და აქტიურად ჩავერთო საზოგადოების საქმიანობაში და ამ მომენტში ყველა დაინტერესებულ სტუდენტს მივაწოდო საჭირო ინფორმაცია კონფერენციასთან დაკავშირებით“.

„მე ვარ მირიან ფუტკარაძე, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების III კურსის სტუდენტი. 2019 წლის თებერვლიდან ვარ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ხოლო 2021 წლის იანვრიდან სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. ჩართული ვარ სამეცნიერო მუშაობაში, რომელიც მაძლევს მოტივაციას, რომ კიდევ უფრო განვვითარდე და განვავითარო ის უნარ-ჩვევები, რომელიც დამეხმარება შემდგომში საკუთარი თავის სრულყოფაში, ცოდნის რეალიზაციაში. აქტიურად ვთანამშრომლობ იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან, დარგობრივ დეპარტამენტებთან, ეს ყოველივე ხელს გვიწყობს ერთობლივად დავსახოთ და შემდგომში შევასრულოთ ყველა ის სამეცნიერო აქტივობა, დაგგემილი ტრენინგები თუ კონფერენციები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას, სამეცნიერო ტექსტებზე მუშაობას და სხვა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი, სამეცნიერო საზოგადოების უმთავრესი მიზანია, დავეხმაროთ სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილების მიღებასა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებაში. უახლოეს პერიოდში ვატარებთ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც აქტიურად ვართ ჩართული და დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული კონფერენცია იქნება წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული. ვისარგებლებ შემთხვევით

და სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების სახელით ყველა სტუდენტს ვუსურვებ წარმატებებს“!

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ-ს ინიციატივით 2019 წელს შეიქმნა კლუბი: "გადააზრების კრიტიკული ზღვარი", რომლის ფარგლებშიც ტრენინგები ჩაატარეს გიორგი ნოდიამ, ვახტანგ ჭარაიამ, ლევან ბერძენიშვილმა და სხვა სპეციალისტებმა. ტრენინგების ნაწილი ჩატარდა საუნივერსიტეტო სივრცეში, ნაწილი კი პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, განხორციელდა ონლაინ სივრცეში.

ამავე წელს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ-მ წარმატებით განახორციელა შიდა საუნივერსიტეტო, „სტუდენტური პროექტების“ კონკურსში გამარჯვებული პროექტი „სტუდენტები აკადემიური განვითარებისთვის". აღნიშნული პროექტის ავტორი გახლდათ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარე - დავით ბალაძე. პროექტი მოიცავდა ტრენინგთა და საჯარო ლექციათა ციკლს, რომელსაც ატარებდნენ ბსუ-ს და ილიაუნის პროფესორები.

წარმატებით ჩატარდა „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია - ბსუ 2019“ და კონფერენციაში მონაწილეთა დაჯილდოება, რომელსაც ორგანიზებას უწევდა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტთან და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად.

ამ ეტაპზე, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ბსუ აქტიურადაა ჩართული ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსისტეტის „სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 2021“-ის დაგეგმვა-განხორციელების პროცესში.

სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება - ბსუ 2019 წლის კონფერენციის დაჯილდოების ღონისძიება

ჩვენ ავირჩიეთ ბსუ,

“მოგესალმებით. მე ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის სპეციალობის, მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი - ხათუნა თურმანიძე.

დამეთანხმებით, რომ სტუდენტობა, ეს არის ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელიც სავსეა გამოწვევებითა და სირთულეებით. ჩვენ ვირჩევთ პროფესიას, რომელიც ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი და შესაძლებლობების რეალიზების საფუძველი ხდება. ეს არის მნიშვნელოვანი ეტაპი ადამიანის ცხოვრებისა, რამეთუ როგორც მოგვეხსენება, ქვეყნის განვითარება და წინსვლა განათლებული, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნაში ადამიანური კაპიტალის ზრდას, რამეთუ ქვეყნის მომავალი სწორედ მასზეა დამოკიდებული. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ასრულებდა და ასრულებს მნიშვნელოვან როლს რეგიონის განვითარებასა და წინსვლაში. ამის ნათელ მაგალითად ჩემი საუნივერსიტეტო წლები მიმაჩნია, ის პერიოდი, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა საუნივერსიტეტო ღონისძიებებთან, იქნება ეს ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონფერენციები, სტუდენტური კონგრესები, სამეცნიერო პიკნიკები, სამეცნიერო ექსპედიციები, პრაქტიკულ-შემეცნებითი სემინარების ორგანიზება ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე და სხვა მრავალი.

სტუდენტი ამ საფეხურზე იღვწის არა მარტო პროფესიული, არამედ პიროვნული უნარების განვითარებისათვის. თუმცა თავისუფლების ეს ახალი ეტაპი, ასევე გულისხმობს ვალდებულებებსაც, რათა იყოს აქტიური და დასახულ მიზანს მიაღწიოს. ამაში კი უნივერსიტეტის მხარში დგომა აუცილებელია, ამ მხრივაც, კი საკუთარ მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი უნივერსიტეტი, მთელი თავისი აკადემიური პერსონალით, ყოველთვის მზადყოფნაშია დაეხმაროს სტუდენტს დასახული მიზნის მიღწევაში.

ამასთან დაკავშირებით გამოვყოფ ჩემს ამჟამინდელ წარმატებას, კერძოდ, 2021 წლის ევროკავშირისა და ევროპის სოლიდარული კორპუსის მიერ ორგანიზებულ პროექტში - „ჩროსს-ბორდერ Eდუცატიონ, ჩულტურე ანდ Eნტრეპრენეურსჰიპ” - გამარჯვებას. რომლის მიხედვითაც გავემგზავრე პოლონეთში, ქალაქ კატოვიცეში 6 თვით. ამ პერიოდის განმავლობაში ჩართული ვიქნები პოლონური ორგანიზაციის FღშP სათაო ოფისსა და ადგილობრივი კულტურული ცენტრების სხვადასხვა ტიპის სამუშაოებში. ამავე დროს სწავლას ვაგრძელებ უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის მხრიდანაც ყოველთვის ვგრძნობ მხარდაჭერასა და თანამშრომლობას. სწორედ მათი დახმარებით ვღებულობ საერთაშორისო სამუშაო გამოცდილების მიღებისა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას.

ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი გვაძლევს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის და ცოდნის გაღრმავების საშუალებას. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, სტუდენტისა და უნივერსიტეტის ერთობლივი, კომპლექსური ურთიერთმოქმედების შედეგია. როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა „მარტო წიგნები, უნივერსიტეტი და თეატრი როდი აყალიბებენ ადამიანს, არამედ უშუალო შეხლა ცხოვრებასთან, რომელიც თავადაც უდიდესი უნივერსიტეტია“.



„მე ვარ რუსუდან ფარტენაძე, 21 წლის. ვსწავლობ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის სპეციალობაზე. ვარ III კურსზე.

ბსუ-ში ჩავაბარე 2018 წელს და დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი. აქ დამხვდა თავისუფალი სივრცე რეალიზებისთვის, სტუდენტზე მორგებული გარემო, მოწესრიგებული აუდიტორიები.

სტუდენტობის პერიოდი განსაკუთრებით შემდეგ წარმატებებს გამოვყოფდი:

- მოვიპოვე აჭარის განათლების სამინისტროს დაფინანსება;
- გავიმარჯვე თავისუფალი სტუდენტური პროექტების კონკურსში;
- ტრენინგებისა და კონფერენციებისგან მივიღე დიდი ინფორმაცია;
- მოვიპოვე სხვადასხვა სტიპენდია;

... და რატომ რატომ ბსუ?

– ბსუ-ს აქვს საინტერესო სტუდენტური ცხოვრება: კონკურსები, პროექტები, სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები, რითაც შეგიძლია უცხოეთში გაიღრმაო ცოდნა, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია, ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აბიტურიენტებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება უწევთ, როცა ირჩევენ სწავლისთვის შესაფერის გარემოს, სადაც უნდა მიიღონ კარგი განათლება და ჩემი აზრით, ბსუ იძლევა ამის საშუალებას. ბსუ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამები სრული სახელმწიფო დაფინანსებით, რითაც საშუალება ეძლევათ სტუდენტებს ცხოვრება გაიმარტივონ. ასევე ბსუ-ს აქვს სტუდენტური საცხოვრებელი, სადაც კარგი გარემო არის შექმნილი სტუდენტებისთვის“.

„მე ვარ დიანა ქარცივაძე, 21 წლის, ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის არქიტექტურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი. საშუალო განათლება მივიღე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისის შოთა ანანიძის სახელობის საჯარო სკოლაში. მოსწავლეობის პერიოდში ვმონაწილეობდი რამდენიმე ტურში და ვიყავი ჩვენი სკოლის ფრენბურთის გუნდის წევრი.

პროფესიის არჩევა ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა, დიდი ხნის განმავლობაში არ მქონდა გადაწყვეტილი თუ რა პროფესიას დავუკავშირებდი ჩემს მომავალს და რამდენჯერმე შევცვალე არჩეული პროფესიაც, საბოლოოდ კი ჩემს გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა იქონია ხაზვის გაკვეთილებმა. მივხვდი, რომ მომწონდა სახაზავთან და ფანქართან მუშაობა, მომწონდა, როცა რაღაცას ვხაზავდი და ის თანდათანობით რთულდებოდა, მიყვარდა ხატვაც... ამ ყველაფერს დაემატა ოჯახის წევრების მხარდაჭერაც და მომავალ პროფესიად ავირჩიე არქიტექტურა. ამ პროფესიაზე სწავლა ჩემთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. უნივერსიტეტში სწავლის მეორე კურსიდან დღემდე ვსარგებლობ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სემესტრული დაფინანსებით, ასევე 2020 წლის დეკემბრის თვეში მოვიპოვე სტიპენდია. ამდენად, ვფიქრობ, ჩემი პროფესია მომავალში ბევრ წარმატებას მომიტანს“.

„მე ვარ გია ჩხაიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი. 2017 წელს დავამთავრე წინსვლის საჯარო სკოლა. უნივერსიტეტში ჩავირიცხე სახელმწიფო გრანტით და გავხდი სტიპენდიანტი - ამ სასიხარულო ფაქტით დაიწყო ჩემი მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.

ბავშვობიდან მინდოდა მესწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე და ვყოფილიყავი იურისტი. ამ მიზნის მისაღწევად ვკითხულობდი იურიდიულ ლიტერატურასა და ვეცნობოდი კანონმდებლობას. უნივერსიტეტში სწავლის დაწყებასთან ერთად ჩემი დაინტერესება სამართლისადმი კიდევ უფრო გაიზარდა და უფრო მეტი შემართებით შევუდექი იურისპრუდენციის შესწავლას.

უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ვცდილობდი მიმეღო მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში, პროექტებსა თუ ღონისძიებებში და ამ მიმართულებითაც დამეგროვებინა გამოცდილება, რომელსაც შემდეგ გავუზიარებდი თანატოლებს. ვფიქრობ, აქტიური მოქალაქეობა და სამოქალაქო ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც პიროვნული, ისე საზოგადოების განვითარებისათვის.

იურისტი მუდმივად ძიებისა და ახლის შეცნობის პროცესში უნდა იყოს, სწორედ ამიტომ, მეც აქტიურად ვმონაწილეობდი სტაჟირების პროგრამებში, ვთანამშრომლობდი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ვმონაწილეობდი კონფერენციებში. უნივერსიტეტში სწავლა კი არ ყოფილა ჩემი ამ საქმიანობისათვის ხელის შემშლელი. წელს ვამთავრებ უნივერსიტეტს, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კი უწყვეტად ვიყავი სტიპედიანტი და მქონდა მაღალი GPA.

მიმაჩნია, რომ თუ გიყვარს შენი პროფესია და გაქვს მოტივაცია, ყველა დაბრკოლებას მარტივად გადალახავ და მიაღწევ დასახულ მიზანს“.

აირჩიეთ თვეენც!

„მე ვარ ანა კობალაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. ჩავბარე ტურიზმის ფაკულტეტზე. შესაბამისად, ჩემ მიერ შერჩეული სპეციალობაც არის ტურიზმი და ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე სწორი გადაწყვეტილება იყო. ჩემი ინტერესის სფერო სრულიად შეესაბამება აღნიშნულ დარგს, რადგან მიყვარს ადამიანებთან კომუნიკაცია და ტურიზმი არ მოიცავს მხოლოდ მოგზაურობას და ტურებს, ეს არის სულ სხვა ფენომენი, რომელიც აერთიანებს უამრავ დარგს, საქმიანობას, გასწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებებს და გიქმნის დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს. სწორედ ეს არის გარკვეული ნაწილი, რაც ბსუ-ს დახმარებით შევისწავლე და დღეს ცხოვრებაში წარმატებით ვიყენებ, როგორც ცხოვრებისეული, ასევე პროფესიული კუთხით.

მე და ბსუ

ბსუ ჩემთვის არ არის მხოლოდ სასწავლო ადგილი, სადაც მივდივარ მხოლოდ ლექცია/სემინარისთვის, ჩემთვის ის მეორე სახლია, თბილი ატმოსფერო და გარემო, ადგილი, სადაც ვხვდები ჩემთვის საყვარელ ადამიანებს. ძალიან გამიმართლა ლექტორებში, რადგან 4 წლის განმავლობაში თითოეულმა მათგანმა იმდენად სხვა კუთხით შემასწავლეს ტურიზმი და მასში არსებული დარგები, რომ დღეს შემიძლია ნებისმიერ პრაქტიკაში გამოვიყენო ეს ცოდნა. ბსუ-მ ჩემს ცხოვრებას შესძინა ახალი ადამიანები, რომლებიც დღეს ჩემი უახლოესი მეგობრები არიან, განვავითარე კომუნიკაციური და ენობრივი უნარები, ამჟამად ვსწავლობ გერმანულს და ვხურავ ინგლისურის უმაღლეს დონეს და სწორედ ბსუ-ს დახმარებით მივიღე მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და ვისწავლე, როგორ ვიყო მეტად თავდაჯერებული გასაუბრებაზე, რაც შემდეგ ეტაპებზე კიდევ ბევრჯერ გამომადგება და ვიცი ისიც, რომ თუ ვიშრომებ ისე როგორც საჭიროა, აუცილებლად დამიფასდება. უნივერსიტეტი, მაძლევს სტიმულს და მოტივაციას ვიყო მეტად მონდომებული და წარმატებული, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

მიღწეული წარმატებები ბსუ-სთან ერთად

პირველ რიგში, უკვე მიღწეული წარმატებაა იმ ინფორმაციების ფლობა, რასაც ამჟამად ვფლობ ტურიზმის დარგსა და მის მნიშვნელობაზე. სწორედ ბსუ-ს საშუალებით მაქვს უამრავი იდეა, როგორ შეიძლება განვითარდეს აღნიშნული სფერო და ვიცი მექნება შესაძლებლობა, იდეები განვახორციელო და მივაღწიო სასურველ მიზანს. ერთ-ერთი წარმატება იყო პირველი გაცვლითი პროგრამა - პრაქტიკა გერმანიაში. ინგლისურისა და გერმანულის ტესტის გავლის შემდეგ, 9 ივნისიდან 9 სექტემბრამდე, 2019 წელს ვიყავი ბაიერნში, სასტუმრო აიაში. აქ გატარებული სამი თვე, ჩემთვის აღმოჩნდა ყველაზე ნაყოფიერი და დაუვიწყარი, რადგან პირველ რიგში ვისწავლე სასტუმროს სფეროში სწორი მომსახურება, კომუნიკაციის დამყარება და სწორი პრინციპით მუშაობა როგორ ხდება. შევიძინე უსაყვარლესი უცხოელი მეგობრები, რომელთანაც კონტაქტი დღესაც მაქვს და მათთან მეპატიჟებიან, რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანია და მომეცა შანსი მემოგზაურა. სწორედ აღნიშნული პროგრამის საშუალებით ავიხდინე ოცნება და საკუთარი შრომის შედეგად ვიმოგზაურე პარიზსა და სხვა ჩემთვის სასურველ ქალაქებში. შემდეგი იყო ერაზმუს+ ის გაცვლითი პროგრამა და ეს ჩემთვის ასევე კარგი გამოცდილება აღმოჩნდა მიუხედავად იმისა, რომ ვერ მოვახერხე წასვლა, მაგრამ ის ეტაპები - გასაუბრება, სამოტივაციო წერილი, სივის შექმნა და ა.შ. სწორედ ბსუ-ს დახმარებით განვავითარე საკუთარი თავი ამ ასპექტშიც. აქვე მინდა ვახსენო, რომ როგორც მაღალი ქულების მქონე სტუდენტს, სემესტრულად მერიცხება სტიპენდიის სახით 750 ლარი, რაც ვფიქრობ მოტივაციის მნიშვნელოვანი წყაროა და ვფიქრობ, ის რომ დღეს ვიცი სასტუმროს მუშაობის პრინციპი და სქემა, დარგები, რასაც ტურიზმი მოიაზრებს და აქვს გავლენა სხვადასხვა ფაქტორზე, ყველა ამ ინფორმაციის ფლობა და ცოდნა ასევე წარმატების გასაღებია.

რატომ ბსუ?

რადგან ჩემი ინტერესი ტურიზმის სფეროსთანაა დაკავშირებული, აჭარა ყველაზე კარგი პოტენციალის მქონე რეგიონია, სადაც ტურიზმი უფრო და უფრო ვითარდება. ამიტომაც, გადავწყვიტე ბსუში ჩაბარება და ნამდვილად არ ველოდი ასეთ შედეგს. იმდენად საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის ეს დარგი და სასწავლო პრაქტიკა, მინდა ჩემს პროფესიად იქცეს და კარიერაც ტურიზმის სფეროზე ავაწყო. ვფიქრობ, ბსუ არ არის ისე დაფასებული როგორც საჭიროა. აქ შესაძლებელია მიიღო სასურველი განათლება, რა თქმა უნდა თუ იშრომებ და ბსუ დამეხმარა შრომის ხარჯზე მიმეღო მაქსიმალური ეფექტი და შედეგიც სახეზეა. მაგისტრატურაში სწავლა მინდა ბსუ-ში გავაგრძელო და საკუთარი თავი უკვე მენეჯმენტის მიმართულებით გამოვცადო. დარწმუნებული ვარ, ისეთივე ეფექტური და პროდუქტიული იქნება, როგორი მოლოდინიც მაქვს და ჩემი უნივერსიტეტი ჩემი წარმატების გასაღებია.

გახდი შენც ბსუ-ელი“!

„მე ვარ ლიკა ზოიძე. 2019 წელს დავამთავრე ჩაქვის N1 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალური მეცნიერების ფაკულტეტზე. ვსწავლობ საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მეორე კურსზე. თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპისმცოდნეობა განვითარებული მომავლის გარანტიაა. მოცემული ფაკულტეტები ახალგაზრდებს კარგ საშუალებას გვაძლევს გავიკვალოთ გზა ევროპისკენ.

სწავლის გარდა მაქვს ბევრი ინტერესი და ჰობი. ძალიან მიყვარს ხატვა და წერა, ბავშვობიდან ვხატავ სიურეალიზმის ჟანრში, ჩემს ნახატებს ბევრი ადამიანი ვერ იგებს, რადგან რთული აღსაქმელია. წერაც ბავშვობიდან მიტაცებს, სულ რაღაც მე-3 კლასში ვიყავი, როცა სკოლაში ქართულის მასწავლებელმა, ჩემი პატარა ესე მთელ სკოლას აჩვენა და თქვა რომ ჩემგან შემდგარი პიროვნება დადგებოდა.

მე-9 კლასამდე ვსწავლობდი სასულიერო გიმნაზიაში, სადაც მონაწილეობას ვიღებდი რელიგიურ ოლიმპიადებში, ინტელექტუალურ თამაშებში.

რა გამომარჩევს სხვებისგან? რა მაგალითი უნდა აიღონ ჩემგან? – არც ზედმეტი თავის ქება მიყვარს და არც თვითგვემა, უმეტესად ვცდილობ არ ვიყო რადიკალისტი, მიყვარს ადამიანების გაგება, სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლამდე ჯერ ვეცდები საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია შევქმნა. ალბათ ამით განვსხვავდები საზოგადოებისგან. ირგვლივ, თითქმის ყველა ცდილობს სხვები შეცვალოს და ამ დროს საკუთარი თავი ავიწყდებათ და დრო სხვა ადამიანების კრიტიკაში გადის. არც ხმაური მიყვარს და არც სიმშვიდე, მე მიყვარს ხმაურში სიმშვიდე, მაქვს კოსმოსზე დიდი წარმოსახვის უნარი და ფანტაზია. რაც ყველაზე მთავარია, ჩემს ემოციებში არ არსებობს დღეს ყველაზე პოპულარული გრძნობების: ბოროტების და სიძულვილის ადგილი.

რაც შეეხება კარიერას, სანამ სკოლას დავამთავრებდი, რამდენიმეჯერ შევიცვალე სპეციალობა, ხან ექიმობა მინდოდა, ხან დეტექტივობა, ხან მსახიობობა და საბოლოოდ შევჩერდი საერთაშორისო ურთიერთობებზე. კონკრეტულ პროფესიაზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ, თუმცა ვაპირებ სწავლა განვაგრძო საერთაშორისო სამართალზე და ასევე წავიკითხო ლექციები უნივერსიტეტში. მიმაჩნია, რომ შემიძლია ახალგაზრდებს ჩემი უნარი და ცოდნა გავუზიარო, თან ლაპარაკი ძალიან მიყვარს, მომავალში ვინ ვიქნები არ ვიცი, მაგრამ ის ზუსტად ვიცი, რომ საკუთარ საქმეში საუკეთესო ვიქნები, რადგან როცა რაიმეს ვიწყებ ან მართლა ვაკეთებ ან საერთოდ არ ვაკეთებ.

ჩემი ცხოვრების დევიზია: „იყავი პირველი თანასწორთა შორის“ Pრიმუს ინტერ პარეს“.

„ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება იყო ექიმ-სტომატატოლოგობა, რადგან დიდი სურვილი მაქვს რაც შეიძლება მეტ ადამიანს დავეხმარო და გავულამაზო ღიმილი. აბიტურიენტობის დროს მოვიძიე ინფორმაცია, გავესაუბრე ჩემი ფაკულტეტის სტუდენტებს, რათა გამეგო თუ რის მოცემა შეეძლო უნივერსიტეტს. 2017 წელს დავამთავრე სკოლა და ამავე წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩავირიცხე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, კერძოდ სტომატოლოგიის სპეციალობაზე. სწორედ, აქედან დაიწყო ჩემი დასახული მიზნების შესრულება. სტუდენტად გახდომის შემდეგ მქონდა მოლოდინი, რომ ჩემს ცხოვრებაში იწყებოდა ახალი ეტაპი, რომელიც დატვირთული იქნებოდა სიახლეებით, გამოწვევებითა და საინტერესო მომენტებით. მოლოდინები გამართლდა, დამხვდა თბილი, მეგობრული გარემო, კვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით, სადაც ყველა სტუდენტის აზრი გათვალისწინებულია და ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხარისხიანი და კარგი განათლება მისცეს უნივერსიტეტმა სტუდენტებს. პირველივე კურსიდან მიზნად დავისახე რომ გავმხდარიყავი წარმატებული სტუდენტი, მიმეღო ხარისხიანი განათლება და გამომემუშავებინა პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტს აქვს თავისი სტომატოლოგიური კლინიკა - "ბსუ დენტი", რომელიც თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, რაც ხელს უწყობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, მოტივაციის გაზრდასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. პირველივე კურსიდან დღემდე ვარ წარჩინებული სტუდენტი, თავიდანვე აქტიურად ჩავერთე სხვადასხვა პროექტში, ვარ სტუდენტური თვითმართველობის წევრი. მონაწილობას ვღებულობ სამეცნიერო კონფერენციასა და ღონისძიებაში. მოგეხსენებათ, აქტიური სტუდენტური ცხოვრება არ არის მარტივი, დატვირთულია სიძნელეებითა და გამოწვევებით, აკადემიური თვალსაზრისით მეტად შრომატევადია, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება, რათა იყო წარმატებული“.

ლანა ჯაფარიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტი

როგორ შევინარჩუნოთ ფსიქიკური ჯანმრთელობა COVID-19-ის ფონზე

უკვე ორი წელი გავიდა, რაც მსოფლიოს მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას პრემანენტულად ახდენს COVID-19 ინფექცია. ამან გავლენა იქონია ბევრ ადამიანზე სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში. ფიზიკურმა დისტანცირებამ და იზოლაციამ, ახლობლებთან და ნათესავებთან კონტაქტების შემცირებამ, დამატებითმა მოვალეობებმა და პასუხიმგებლობებმა, გაურკვეველობამ მომავალთან დაკავშირებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფსიქიკურ კეთილდღეობაზე.

პანდემიის პირობებში მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ვირუსთან დაკავშირებული სიტუაცია მუდმივად იცვლება და მოსახლეობამ გარკვეულწილად ადაპტაცია მოახდინა არსებულ ვითარებასთან, კვლავ აქტუალურ საკითხად რჩება საზოგადოებისათვის და საგანმანათლებლო სივრცისათვის ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. წარმოდგენილი სტატია მშობლებსა და სხვა მოზრდილებს უზრუნველყოფს რეკომენდაციებით, თუ როგორ გაუმკლავდნენ ბავშვებთან კორონავირუსით წარმოქმნილ სირთულეებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში დაწყებითი სკოლის ადრეული და მაღალი ასაკის ბავშვებთნ, ადრეული და მაღალი საშუალო კლასების ბავშვებთან და მაღალი კლასების ბავშვებთან.

მიუხედავად მოსახლეობის გარკვეული ნაწილის COVID-19-ის საწინააღმდეგოდ ვაქცინირებისა, ინფიცირების შემთხვევების მცირედ შემცირებისა და მოსახლეობის მიერ პანდემიის სიტუაციასთან გარკვეული ფსიქოლოგიური ადაპტაციისა, პანდემიით გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემები კვლავ რჩება როგორც მოზრდილებთან, ასევე ბავშვებთან.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანია მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვები აქტიურად ჩართონ სხვადასხვა მათთვის საინტერესო და მრავალფეროვან აქტივობებში, ხელი შეუწყონ რაც შეიძლება კარგად შეასრულონ სასკოლო დავალებები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეუქმნან მათ დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა. დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვებს შეუქმნან და განუმტკიცონ არსებულ სიტუაციაზე კონტროლის ქონის განცდა და დაარწმუნონ ისინი, რომ კარგად არიან და სიტუაცია თანდათან გაუმჯობესდება.

ამ დროს მნიშვნელოვანია როგორ უმკვლავდება უფროსი რთულ სიტუაციებს, რაგდან ბავშვები უფროსებს უყურებენ, მათგან მაგალითს იღებენ და ამით ხელმძღვანელობენ სტრესულ სიტუაციებზე გამკლავების დროს. მოზრდილებისაგან პანიკური რეაქციების გამოვლენა ნეგატიურად მოქმედებს არსებული სიტუაციის მართვაზე. ამ პერიოდში განსაკუთრებით მოიმატა შფოთვისა და პანიკური შეტევების სიმპტომებმა ბავშვებში და მოზარდებში. ეს დაკავშირებულია გაურკვევლობისა და ავადმყოფობის შიშთან. ბავშვებთან შფოთვის შესამცირებლად აუცილებელია მათთან გულახდილი საუბრის წარმოება, გამოვლენა თუ რისი შიში აქვთ მათ. მოზრდილმა მათ უნდა შეუქმნას ინფიცირების რისკზე კონტროლის გარკვეული განცდა, რაც აგრეთვე ამცირებს შფოთვის დონეს და გამოვლინებებს ბავშვებთან.

აუცილებელია მოზრდილებმა ბავშვებს შესთავაზონ პრობლემების გადაჭრის სტრატეგიები და მოდელები; ასწავლონ დღის განრიგის შედგენა, რომელშიც დაბალანსებული იქნება სწავლის და სხვა აქტივობები. საჭიროა კრეატულობის გამოჩენა, რათა თითოეულ ბავშვს მოზრდილი დაეხმაროს მრავალფეროვანი, მისთვის შესაბამისი აქტივობების შერჩევაში და შემდეგ მათ დროში განაწილებაში. უნდა დაიგეგმოს როგორ უნდა განახორციელოს ბავშვმა ეს აქტივობები, როგორ იკონტაქტოს ამ საქმიანობების დროს და ზოგადად მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან.

მშობლებმა და პედაგოგებმა ბავშვებთან ურთიერთობისას გარდა მათი წუხილისა და პრობლემების მოსმენისა უნდა შეინარჩუნონ სიმშვიდე და შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად დაამშვიდონ ბავშვები, გაუჩინონ მათ სანდობისა და უსაფრთხოების განცდა.

ბავშვთან COVID-19-ზე საუბრისას მოზრდილმა უნდა გაიაზროს და გააცნობიეროს რას და როგორ ესაუბრება COVID-19-ზე ბავშვს, ვინაიდან მოზრდილის მიერ არჩეულ კომუნიკაციის სტილს შეუძლია როგორც შეამციროს, ისე გაზარდოს შიშის განცდა ბავშვთან. ვინაიდან მშობელი და პედაგოგი ბავშვისათვის როლურ მოდელს წარმოადგენენ, ბავშვები მათი რეაგირების სტილს გაიშინაგნებენ და ღებულობენ, მათი ქცევისა და რეაგირების სტილი მაგალითია ბავშვებისათვის. რეკომენდირებულია მშობლებმა ბავშვს მიაწოდონ აზრი, რომ მათი ოჯახის წევრებს არა აქვთ ცუდი ჯანმრთელობა და ყველაფერს გააკეთებენ, რაც მათ შესაძლებლობებშია იმისათვის, რომ გაუფრთხილდნენ მათთვის საყვარელ ადამიანებს. გულდასმითა და გულისყურით ბავშვის მოსმენის გარდა შესაძლოა მშობელმა მას შესთავაზოს საკუთარი აზრებისა და გრძნობების შესახებ ჩანაწერების გაკეთება, შემდეგ კი სიმართლე უთხრას მაქსიმალურად მისაღები ფორმით იმ საკითხებზე, რომლებიც ბავშვს აწუხებს და დაამშვიდოს ის. მოზრდილმა შფოთვის შესამცირებლად და დასამშვიდებლად ბავშვს უნდა ასწავლოს მუცლით და ღრმა სუნთქვა, რაც საკმაოდ ეფექტური მეთოდია ნერვული სისტემის დასამშვიდებლად. კარგი იქნება თუ ამ სუნთქვის სავარჯიშოს

მშობელი ან მასწავლებელი ბავშვთან ერთად გააკეთებს.

აუცილებელია მოზრდილმა ხშირად და დაზუსტებით აუხსნას ბავშვს სოციალური დისტანცირების მნიშვნელობა პანდემიის დროს. ამ პერიოდში, როდესაც თითქოს მეტად მოხდა არსებულ სიტუაციასთან მოსახლეობის ადაპტაცია, უფრო მნიშვნელოვანია მშობელმა ბავშვს გააგებინოს, თუ რატომ არა აქვს უფლება და რატომ უნდა შეიკავოს მან თავი მეგობრებთან ახლო კონტაქტისაგან. მოზრდილს შეუძლია აუხსნას ბავშვს, რომ სოციალური დისტანციის დაცვა „დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის“ მნიშვნელოვანი მითითებაა და მისი დაცვა აუცილებელია. მოზრდილი პირები ვალდებულები არიან ბავშვს გააგებინონ, რომ სანამ არსებობს COVID-19-ით დაინფიცირების რისკი და ეს ინფექცია არაა ჯერ კონტროლირებული, აუცილებელია სოციალური დისტანცის დაცვა, ანუ სხვებისაგან სივრცეში შორს დარჩენა. თუ ბავშვი ისეთ ასაკშია, რომ მას უნარი აქვს გრაფიკულად მოცემული ინფორმაცია გაიგოს, მაშინ სასარგებლო იქნება სოციალური დისტანციის აუცილებლობის არგუმენტირებისათვის მას ვაჩვენოთ, თუ როგორ დაიწია დაავადების სიხშირის მაჩვენებელმა მრუდმა, როდესაც ადამიანები კარანტინის გამო დისტანცირებულები იყვნენ ერთმანეთისაგან. ბავშვებზე ასახსნელია, რომ ვინაიდან წინასწარ არაა ცნობილი, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება პანდემია, ამ კრიტიკულ დროს აუცილებელია ჯანდაცვის სფეროს ექსპერტების მითითებების შესრულება.

კარგი იქნება თუ მოზრდილი პოზიტიურ მოვლენებზე მოახდენს ბავშის ცნობიერების ფოკუსირებას. პანდემიის პერიოდი საშუალებას იძლევა ოჯახის წევრებმა მეტი დრო გაატარონ ერთად, რაც აღსანიშნი ფაქტია. მშობელს შეუძლია ეს სიტუაცია მაქსიმალურად სახალისო გახადოს. შესაძლებელია ოჯახის წევრება ერთობლივი აქტივობები განახორციელონ, როგორებიცაა რაიმე ნივთის გაკეთება, სახლის სხვადასხვა საქმეებისა და აქტივობების შესრულების ორგანიზება, ერთად სიმღერა და სიცილი, გარეთ სასეირნოდ ერთად გასვლა სახლთან ახლოს და ბუნებაში, და ამ გარემოში ფიზიკური ვარჯიშების კეთება. მოზრდილ ბავშვებთან პოზიტიური ფსიქოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს შეუწყობს მეგობრებან ვირტუალური კავშირის ქონა.

კარგი იქნება თუ ბავშვებს მოზრდილები სხვა თანატოლების და მოზრდლების მხარდაჭერას ასწავლიანი, მაგალითად ისეთი პირებისათვის ვინც სახლში მარტოა, ან სამედიცინო პერსონალია, მათთვის წერილებისა და შეტყობინებების მიწერა, ვიდეო ზარებით კონტაქტი, სოციალური მედიის საშუალებით მათთვის პოზიტიური შეტყობინებების გაგზავნა. ასევე სხვა ადამიანების, კერძოდ პატარა ბავშვების, დახმარების აქტივობაში უფრო მოზრდილი ბავშვების ჩართვა, შესაძლებელია მოზრდილი ბავშვების მიერ პატარა ბავშვებისათვის ონლაინ წიგნების წაკითხვის ორგანიზებით.

რეკომენდაციები მოზრდილებისთვის საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. მხნეობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ზრუნვა არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც, რაც მოიცავს:

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას - საკუთარ ჯანმრთლობაზე ზრუნვა გულისხმობს რეგულარულ დასვენებას, საკმარის ძილს, ჯანმრთელი საკვების მიღებას, ფიზიკური აქტივობა/ვარჯიში, ალკოჰოლზე, თამბაქოზე და სხვა მავნე ჩვევებზე უარის თქმას.

კონტაქტების შენარჩუნებას - საგანგებო ვითარებაში ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ღელვა, შფოთვა, შიში, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც პიროვნული სისუსტე. სხვებთან ურთიერთობა და წუხილის გაზიარება, იმის ცოდნა, თუ სხვები როგორ უმკლავდებიან არსებულ ვითარებას, შესაძლოა, დაეხმაროს ადამიანს. სასურველია, რომ ადამიანმა გამოიყენოს გამკლავების ჩვეული სტრატეგიები და, შეძლებისდაგვარად, გააგრძელოს რუტინული საქმიანობა. ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია კონტაქტების შენარჩუნება ძვირფას ადამიანებთან, რაც შეიძლება დისტანციურადაც, სხვადასხვა დიგიტალური საშუალებებით განხორციელდეს.

რუტინის შენარჩუნება - პანდემიის დროს მომენტალურად მოგვიწია გადაწყობა „ახალ რეალობაზე“. თვიდან ეს „ახალი რეალობა“ იყო შემაწუხებელი და გაურკვეველი, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩვენ შევეგუეთ ამ ცვლილებას. ამაში დაგეხმარათ ყოველდღიური რუტინის შენაჩუნება, როგორც წესი, ეს ძალიან სასარგებლოა და საშუალებას გაძლევთ კვლავ დაიბრუნოთ კონტროლი თქვენს ცხოვრებაზე, ააწყოთ აზრები და დაიბრუნოთ თქვენი ძალა. ჩვენ გავაგრძელეთ დისტანციურად მუშაობა და სწავლა. თავიდან ესეც რთული ჩანდა, თუმცა მალევე შევეგუეთ ამ ყოველივეს.

ინფორმაციის რეგულირებას - გადამეტებულმა ინფორმაციამ შეესაძლოა მომატებული ღელვა გამოიწვიოს. უნდა მივიღოთ სიახლეები სანდო წყაროებიდან და თავი უნდა ავარიდოთ სხვადასხვა სპეკულაციურ და ცრუ ამბებს.

დახმარების ძიებას - როდესაც ადამიანს უჭირს თავისი ემოციური მდგომარეობის მართვა ან/და აღენიშნება დისტრესის გამოხატული ნიშნები უნდა მიმართოს სპეციალისტს.

გრძნობების თავისუფლად გამოხატვა - პერსონალი შეიძლება განიცდიდეს დაინფიცირების შიშს ან ღელვას და დაძაბულობას არასაკმარისი დაცვის საშუალებების ან დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო. ეს მდგომარეობა არანაირად არ მიუთითებს პიროვნების სისუსტეზე ან მის არაპროფესიონალიზმზე.

დაძლევის

პიროვნებას მსგავსი ნიშნები აღენიშვნება, უნდა მიმართოს კოლეგას, რომელსაც ენდობა ან სპეციალისტს, თუ სიმპტომები უარესდება და პიროვნებას უჭირს მათთან გამკლავება.

სოციალური მედიისგან შესვენება - არ არის აუცილებელი, რომ 24/7 ჩართული ვიყოთ ახალ ამბებში. დროდადრო უნდა მოვწყდეთ ჩვენს კომპიუტერებს და სმარტფომებს. ინფოსტრატეგიების გამოყენება - სტრესის დროს პიროვნებამ უნდა გამოიყენოს მისთვის ჩვეული სტრატეგიები. ეს შეიძლება მოიცავდეს საკმარის დასვენებას მორიგეობებს ან პროცედურებს შორის, სათანადო რაოდენობით საკვების მიღებას (იდეალურია, თუ შესაძლებელია, ჯანმრთელი კვების პროდუქტების გამოყენება და კვების სწორი რეჟიმის დაცვა), ფიზიკურ აქტივობას და დისტანციის დაცვით ოჯახთან და მეგობრებთან (ტელეფონით ან სხვა დისტანციური საშუალებებით) ურთიერთობების შენარჩუნებას.

ჯანმრთელობის მდგომარეობის რეგულარული შემოწმება - მნიშვნელოვანია საკუთარი მდგომარეობის მონიტორინგი დეპრესიის ან სტრესის ნიშნებზე, როგორიცაა: გახანგრძლივებული სევდა, ძილის გაძნელება, უიმედობის განცდა, უსიამოვნო მოგონებების შემოჭრა. თუ რმაცია უნდა მივიღოთ მხოლოდ სანდო და განახლებული წყაროდან.

დავით ქათამაძე,
მოწვეული მასწავლებელი,
დოქტორანტი

გარემო და ჩვენ!

5 ივნისი – გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე!

5 ივნისი გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა. ის მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, 1974 წლიდან აღინიშნება. მანამდე 1972 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სტოკჰოლმში ჩაატარა გაეროს კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ადამიანის საარსებო გარემოს პრობლემების განხილვას და სწორედ, ამ თარიღის აღნიშვნაც მაშინ გადაწყდა.

გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩვენი ინტერვიუ შედგა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორთან, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან, აჭარის რეგიონული ეკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელთან გუგული დუმბაძესთან.

ქალბატონო გუგული, პირველ რიგში, გილოცავთ ეკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის პოზიციზე თქვენს არჩევას და გისურვებთ წარმატებებს. მაინტერესებს, რა გახდა ამ არჩევის მიზეზი?

პირველ რიგში, გილოცავთ და მთელ ჩვენს საზოგადოებას ვულოცავ ამ ყველაზე ცნობილ გარემოსდაცვით თარიღს. ვისურვებდი, რომ ჩვენი საზოგადოების თითოეულმა წევრმა თავისი წვლილი გაიღოს ამ დღის აღსანიშნავად, და არა მხოლოდ.

– ანუ, რა იგულისხმება აქ?

ამ დღის აღნიშვნის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვით გამოწვევებზე მოსახლეობის ცნობიერების გაზრდა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში მათი აქტიური ჩართულობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ დღის მთავარი მიზანია, რომ მოსახლეობა დაფიქრდეს, რა ხდება გარემოში, რა პრობლემებია, როგორ ზემოქმედებს ის გარემოზე და თვით, შეცვლილი გარემო კი – ადამიანზე, იზრუნოს გარემოს ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დამეთანხმებით, რომ გარემოს ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის, პასუხისმგებელი პირების, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ და მხოლოდ ერთი დღით გარემოსდაცვითი აქციებისა თუ ღონისძიებების ჩატარებით. გარემოზე ზრუნვა და გაფრთხილება თითოეულმა ადამიანმა ცხოვრების წესად უნდა გაიხადოს.

UNITED NATIONS DECADE ON
ECOSYSTEM
RESTORATION
2021-2030

რაც შეეხება ჩემს არჩევას, ამის მიზეზი იყო სხვადასხვა აქტივობა, თანამშრომლობა, ერთობლივი პროექტები, სამუშაო შეხვედრები, გამოსვლები საქართველოს თუ უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა თუ სხვა სამუშაო ჯგუფებში. ამ ურთიერთობის დროს გამოიკვეთა სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფის ერთობლივი აზრი, ჩემი არჩევის შესახებ.

– მაინც რა არის თქვენი მოვალეობა ან როგორია თქვენი მიზნები?

პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რადგანაც გლობალურად მიმდინარე გარემოსდაცვითი პრობლემები თავის ასახვას პოულობს ჩვენს ქვეყანასა და კუთხეზეც. ჩვენი ეკოლოგიური ცენტრის, მისი თითოეული წევრის საქმიანობაც სწორედ ამ მიმართულებით, არსებული პრობლემების კვლევისა და მათი მოგვარებისაკენ იქნება მიმართული. მიმდინარე წლის 7 ივნისს ჩატარდა ეკოლოგიური აკადემიის პირველი ყრილობა, სადაც დამტკიცდა სტრუქტურა და სამუშაო გეგმა. მისი განხორციელებისას დაგეგმილია ერთი ეკოლოგიური პრობლემის მიმართულებით მომუშავე, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტისა თუ ქალაქის მეცნიერ-მკვლევართა ჯგუფის გაერთიანება და არსებული პრობლემის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა. მიმდინარე პერიოდში ჩვენი ხელმძღვანელობით მომზადდა ეკოაკადემიის დასავლეთის განყოფილების სამეცნიერო სემინარი, სადაც ყურადღება გამახვილდა აქ არსებულ ეკოლოგიურ გამოწვევებსა და მათ მოგვარებაში ჩვენი მეცნიერების წვლილზე.

ასევე, ყურადღება მიქცეულია სამეცნიერო პროექტების მომზადებასა და განხორცილებაზე, მოსახლეობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე, ეკოლოგიის მიმართულებით საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებაზე ჩვენს უნივერსიტეტში და სხვა. ცხადია, აღნიშნულ ყველა ღონისძიებაში ჩართული იქნება ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა საფეხურის სტუდენტები.

– საინტერესოა, მაინც რამ განაპირობა გარემოს ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილებები, რატომ დგება გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები?

გარემოზე ზემოქმედება ადამიანმა თავისი გაჩენის დღიდან დაიწყო, თუმცა საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე (ვგულისხმობ, ქვის ხანას და პირველყოფილ თემურ წყობილებას), გარემოზე ადამიანის ზემოქმედების კვალი მეტად მცირე იყო. ის ლოკალური, უმნიშვნელო ზემოქმედებით შემოიფარგლებოდა, მიუხედავად ამ პერიოდის ყველაზე დიდი ხანგრძლივობისა.

ადამიანის კვალი გარემოზე გაიზარდა მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქების დროს, როცა დაიწყო ნიადაგის ინტენსიური გამოყენება, გაიჩეხა ტყეები, აშენდა საწარმოები, დაიწყო ირიგაციული საქმიანობები, სამთო საქმე და სხვა. ეს კვალი კიდევ უფრო გადიდდა კაპიტალიზმისა და მომდევნო, სოცია-

ლური რევოლუციის პერიოდში. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევულუციამ, ენერგეტიკულმა წინსვლამ, დემოგრაფიულმა აფეთქებამ, ბუნებრივი რესურსების ფართომასშტაბიანმა გამოყენებამ, საზოგადოების დაბალმა ეკოლოგიურმა ცნობიერებამ და მრავალმა სხვა ფაქტორმა, მიგვიყვანა ეკოლოგიური კრიზისის თანამედროვე საფრთხემდე.

– რა საფრთხეებს გულისხმობთ აქ?

ადამიანის მიერ საარსებო გარემოზე ზემოთ აღნიშნული ქმედებიდან გამომდინარე, სახეზეა კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურება, მთელ მსოფლიოში მცირდება ტყის ფართობები, იზრდება გაუდაბნოებული ტერიტორიები, მძაფრდება ნიადაგის ეროზია, მეწყერი და დეგრადაციას განიცდის სასოფლო-სამეურნეო მიწები. ატმოსფეროს ქვედა ფენა იწყებს დათბობას, რასაც ახლავს ყინულის დნობა, ზღვის დონის მატება, იზრდება შტორმული მოვლენები, წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების რიცხვი და ამ კატასტროფული მოვლენებით გამოწვეული ზარალი. ქვეყნის ბევრ ადგილას ხდება პირიქით, წყლის დონე დაბლა იწევს, ატმოსფერული და ნიადაგის ტენი, ნალექები კიდევ უფრო მცირდება, მდინარეები შრება, იხოცება თევზები, მარჯნის რიფები ქრება, ხდება ფლორისა თუ ფაუნის სხვადასხვა სახეობების გაქრობა, ახალი, მავნე ინვაზიური ორგანიზმების შემოჭრა და სხვა.

ამგვარად, ჩვენი პლანეტა მძიმე ეკოლოგიური კრიზისის პირასაა. არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს მივყავართ ისეთი კატასტროფებისა და ტრაგედიებისაკენ, სადაც თავდაცვა შეუძლებელი ხდება.

– ...და, ამ პრობლემებისგან რა გამოსავალი არსებობს?

ჯანსაღი საარსებო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით, საჭიროა მასშტაბური რეფორმების გატარება გარემოს დაცვის მიმართულებით. აუცილებელია გონივრული და გააზრებული საკანონმდებლო რეგულაციის შემოღება, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას, მასზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და, მეორეს მხვრივ, წაახალისებს შესაბამის ინვესტიციებსა და ეკონომიკურ აქტივობებს.

ხელი უნდა შეეწყოს განახლებადი (მზისა და ქარის) ენერგიების დანერგვას და ფართოდ გამოყენებას; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას; წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესებას; ქალაქებში მწვანე ნარგავების კვოტების დადგენას; მწვანე საფრის აღდგენასა და ახლის გაშენებას; დაცული ტერიტორიების სისტემის გაძლიერებას, ბიომრავალფეროვნების აღდგენა/შენარჩუნებას და სხვა.

ამასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ბიოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა, მშენებლობის რეგულირება გარემოს დაცვის პრინციპების შესაბამისად; ასევე, ეროზიული, მეწყრული პროცესების შესასუსტებლად განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი ხე-მცენარეების გაშენება თუ სხვადასხვა სახის ადაპტირებული ღონისძიებების გატარება.

რაც შეეხება კლიმატის ცვლილებას, საქართველოს ხედვა ამ მხრივ ყველაზე უკეთ „საქართველოს განახლებულ, ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტშია ასახული, რომლის მიხედვითაც, სათბური აირების ემისიების შემცირება უნდა მოხდეს 35 პროცენტით, 1990 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით. კერძოდ, ემისიების შემცირება სატრანსპორტო, ენერგიის წარმოებისა და გადაცემის სფეროში 15%-ით, ხოლო მრეწველობის სექტორში 5%-ით უნდა მოხდეს, ასევე, სატყეო სექტორში ემისიების შთანთქმის უნარი უნდა გაზარდოს 10%-ით.

ტყე საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და ეკოლოგიური აქტივია. მას დაცვა-შენარჩუნება და შემდეგ სწორი პოლიტიკით განახლება და განვითარება სჭირდება. ტყისა და გარემოს მწვანე საფარის როლი ხომ განუზომელია გარემოს მდგომარეობის გაჯანსაღებაში. სწორედ, რომ 2021 წლის გარემოს დაცვის მსოფლიო დღე ეხება ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ეკოსისტემების აღდგენას და მისი თემაა „აღადგინე. შექმენი. განაახლე“

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ცხოვრებისათვის ჯანმრთელი და სასიამოვნო ეკოლოგიური გარემოს შექმნა ისევ და ისევ ჩვენთვის, მომავალი თაობისათვის და არა კონკრეტული საერთაშორისო შეთანხმებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. იმისათვის, რომ ადამიანებმა მომავალში სუფთა გარემოში იცხოვრონ, ვალდებულები ვართ ყველაფერი გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია.

გილოცავთ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს და ვისურვებდი, რომ მართლაც, გარემოს დაცვა მთელმა კაცობრიობამ წესად გაიხადოს.

ზურა ცინცაძე,
მომავალი სტომატოლოგი:

„როცა მარტის თვეში დავბრუნდით აუდიტორიაში, ეს იყო ახალი გამოწვევა ჩვენთვის, რადგან პირველად ვესწრებოდით ლექციას აუდიტორიაში, ამან გამოიწვია მღელვარება, ცოტა დაბნეულობა და გაურკვევლობა, ასევე შიში იმისა , თუ როგორ შევძლებდით სწავლის გაგრძელებას აუდიტორიაში ონლაინის შემდეგ. ყველაფერი უფრო მარტივი აღმოჩნდა ვიდრე ჩვენ გვეგონა და ბევრად უკეთესიც. ყველა კითხვაზე პასუხი მალევე ვიპოვეთ.

ზუმგანათლება და საუდიტორიო განათლება... ზუმგანათლება,.. თუ ამას განათლება ჰქვია.., მხოლოდ ერთეული საგნებია, რომლებიც შესაძლებელია, რომ ზუმით კარგად ისწავლო და აუდიტორიაში მისვლა ბევრს არაფერს შეცვლის. უმრავლესობის მოსმენა კი ზუმით საშინელებაა, 3-4 საათი გიწევს კომპიუტერთან ყოფნა, მაქსიმუმ 1 ლექცია თუ იქნები კონცენტრირებული ლექციაზე, მერე კი ისე ვიღლებით მოსმენაც შეუძლებელია, არაფერი გვამახსოვრდება სხვა რამით ვერთობით, აუდიტორიაში კი, სადაც პირდაპირ ვისმენთ ლექტორის ახსნილს, ბევრად უკეთესია, ნაკლებადაც ვიღლებით და მარტივი დასამახსოვრებელიცაა, ასე რომ ბევრად სჯობს აუდიტორია.

ჩემი ერთი დღე... ყოველ დილით ადრე მიწევს ადგომა, რაც დამღლელია რუტინულად როცა ხდება. შემდეგ სახლის საქმეებს ვაკეთებ 2 ან 3 საათი, შემდეგ ლექციებს ვესწრები ონლაინ, ლექციების მერე ვმეცადინეობ და საღამოს ვერთობი ან თამაშებით ან ფილმებით,თუ აუდიტორიაში გვიწევს მისვლა, დილის საქმეებს გვერდით ვდებ და მივდივარ, მთელ დღეს ქალაქში ვატარებ, მოვდივარ სახლში და ვმეცადინეობ ან თუ თავისუფალი ვარ, ვერთობი.

მე და უნივერსიტეტი... უნივერსიტეტი ჩემთვის საასიამოვნო გარემოა, მიხარია, როცა იქ მისვლა მიწევს, რადგან ვხდები კურსელებს, ვერთობი და გამყავს დრო, კარგი ახალი მეგობრები მყავს, მიყვარს მათთან ერთად დროის გატარება, ჩემი ინტროვერტობა მათთან სადღაც გაქრა, აქამდე არასდროს ვყოფილვარ საზოგადოებაში ასე გახსნილი, რაც შეეხება სწავლას, მარტივია, რადგან ყველაფერს რასაც გვასწავლიან, ვხედავთ საკუთარი თვალით და შეგვიძლია შევეხოთ მაკეტებს და მივიღოთ პრაქტიკა. უნივერსიტეტი ჩემთვის პრიორიტეტად იქცა.

სამომავლო გეგმები... ის რაც ყველას სურს - კარგად სწავლა და ვიყო კარგი პროფესიონალი. სხვა დანარჩენს არ ვამხელ...

“ჩემი სახელი და გვარია თედო შარადენიძე, ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფო სტიპენდიის მფლობელი, ისე KA107 -ის საერთაშორისო სტიპენდიანტი.

ვასწავლი ინგლისურ ენას ორ დაწესებულებაში, ამასთანავე ვარ ალუმნის ორგანიზაციის აქტიური წევრი და ვატარებ საჯარო ლექციებს იმ სტუდენტებისთვის (მსოფლიოს მასშტაბით), რომლებიც ერასმუს+ ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ სასწავლებლად საზღვარგარეთ.

ბსუ-მ პირადად მე ძალიან დიდი წარმატება მომიტანა იმ კუთხით, რომ მომცა საშუალება მაქსიმალურად გამომეყენებინდა როგორც უნივერსიტეტში არსებული სასწავლო რესურსები, ისე საკუთარი თავში არსებული შესაძლებლობები. პროფესორების სტუდენტებისადმი მზურნელობითი და ობიექტური დამოკიდებულება ნამდვილად აღსანიშნავი და დასაფასებელია.

რაც შეეხება მიღწეულ წარმატებებს, ვარ ინგლსიური სახელმძღვანელოს ავტორი, რომლის გამოცემაც ძალიან მოკლე დროში იგეგმება. ასევე, ვარ ერასმუს სტუდენტი, 2019 წლის სექტემბერში გავემგზავრე ეპანეთში სასწავლებლად ერთი სემესტრით უცხოეთში დაგროვებული კრედიტების სრული თავსებადობითა და აღიარების საფუძველზე.

ბსუ–ში ალბათ იმიტომ უბნდა ვისწავლოთ, რომ გამოირჩევა გაცვლითი პროგრამების სიუხვით, რაც ერთ-ერთი წინაპირობაა საინტერესო თავგადასავლებისა და გამოცდილების დაგროვებისათვის. პროფესორ-მასწავლებლების მზაობა სტუდენტთა მხარდაჭერისთვის კიდევ ერთი ხაზგასასმელი ნიუანსია, რაც ალბათ გამოარჩევს ბსუ-ს სხვა სასწავლებლებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლების მეთოდიკა ბსუ-ში (ვსაუბრობ ჩემი ფაკულტეტიდან გამომდინარე) არის ძალიან მამოტივირებელი, რაც უბიძგებს სტუდენტების, გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად. დარწმუნებუილი ვარ, რომ ბსუ დიდ დახმარებას გაუწევს მოტივირებულ და კარიერულ განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდებს“.

სტიპენდიანტი პირველკურსელები

მარიამ ცეცხლაძე, 19 წლის

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტი, ინგლისური ფილოლოგიის I კურსი

„სიმართლე რომ გითხრათ, სტიპენდიას არ მოველოდი, რადგან ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. შესაბამისად, ეს არ ყოფილა ჩემთვის წამახალისებელი ან გადამწყვეტი ფაქტორი, რომ ამერჩია ბსუ და მით უმეტეს ჩემი მომავალი პროფესია. თავიდანვე რომ მცოდნოდა ეს, რა თქმა უნდა, რაღაც დოზით მოტივაციის მომცემი იქნებოდა და კიდევ უფრო უკეთ მოვემზადებოდი გამოცდებისთვის.

იქედან გამომდინარე, რომ წელს პირველკურსელებს მოგვიწია მთლიანად ონლაინ რეჟიმში მუშაობა, პირველი წელი საკმაოდ სტრესული და ცოტათი დამაბრკოლებელი აღმოჩნდა. ეს სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. მაგალითად იმით, რომ არ ვიცნობდი საუნივერსიტეტო სისტემას და ონლაინმა შედარებით გაართულა ეს პროცესი. ასევე უშუალო კომუნიკაცია არ მქონია ჩემს ახალ მეგობრებსა(კურსელები) და ლექტორებთან, რაც ასევე ერთ-ერთი დამთრგუნველი ფაქტორია. გარდა ამისა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ონლაინ პლატფორმით მუშაობა ისეთივე ეფექტური არ არის, როგორც სააუდიტორიო სივრცეში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა საკმაო ბარიერები შექმნეს, ეს არ ნიშნავს იმას ,რომ ცოდნა ვერ მივიღე. ვფიქრობ, მთავარია ლექტორებიცა და სტუდენტებიც საკმარისად იყვნენ კონცენტრირებულნი შედეგზე და ცოდნის გაცემა-მიღებაზე. ამდენად, ჩემი ერთი წელი სტუდენტობის სახელით ცოტათი სტრესულიც იყო და ამავდროულად, საინტერესოც.

ჩემი სამომავლო გეგმები იყოფა ორად: მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებად. მოკლევადიანი გეგმების ნაწილი უკვე განვახორციელე, კერძოდ, მაქვს საკმაოდ მაღალი აკადემიური მოსწრება და ასევე მივემგზავრები ამერკაში(Aცცესს-ის გაცვლითი პროგრამით). რაც შეეხება გრძელვადიან გეგმებს, პირველ რიგში მსურს საზღვარგარეთ გავაგრძელო სწავლა და ვფიქრობ ამაში ბსუ-ს გაცვლითი პროგრამები ძალიან დამეხმარება. ასევე მინდა, რაც შეიძლება სწრაფად მოვახდინო საკუთარი თავის რეალიზება ჩემს პროფესიში. ...და ბოლოს ვიყო მასწავლებელი, რომელიც ახალგაზრდებს მისცემს კრიტიკული აზროვნების საშუალებას და არ მოაქცევს მათ გარკვეულ სტერეოტიპულ და დოგმატურ ჩარჩოსა თუ საზღვრებში. დიდი სურვილი მაქვს თუნდაც სულ მცირედით უკეთესობისკენ შევცვალო ჩვენი განათლების სისტემა და მიდგომები ბავშვებისა თუ სტუდენტებისადმი. ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია ბევრი შრომითა და მონდომებით. ვიმედოვნებ, ჩემი გეგმების განხორციელებაში ბსუ-ში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ძალიან დამეხმარება.

„მე ვარ მაკა გოგიტიძე, 19 წლის. 2020 წელს ეროვნული გამოცდების შედეგად ავიღე 70%-იანი გრანტი და გავხდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტი. თუმცა, ეს არ ყოფილა მხოლოდ ჩემი დამსახურება, მეტიც, დიდწილად ამ შედეგს იმ ადამიანებს ვუმადლი, ვინც არ დაიშურა სიკეთე და ყურადღება ჩემ მიმართ. სწორედ აღებული გრანტის საფუძველზე 2021 წელს გავხდი ბსუ-ს სტიპენდიანტი სტუდენტი. ეს პატარა-პატარა წარმატებები ჩემთვის დიდ და ხანგრძლივ მოტივაციას წარმოადგენენ.

ჩემთვის სტუდენტობა არის საშუალება, რომელსაც შეუძლია სასურველ მიზნამდე მიგიყვანოს, თუ მას პასუხისმგებლობით მიუდგები“.

„თამუნა კობალაძე, 20 წლის, მომავალი ისტორიკოსი. სტიპენდიაზე არასდროს მიფიქრია და ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო, როცა დამირეკეს და მითხრეს ამის შესახებ. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე“ არ მაქვს დიდი შთაბეჭდილებები სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, თუმცა გავიცანი უამრავი საინტერესო ახალგაზრდა და გავიგე ჩემთვის აქამდე უცნობი ფაქტები. მოუთმენლად ველი ყველაფრის კალაპოტში ჩადგომას და უნივერსიტეტში დაბრუნებას. სამომავლოდ მინდა უკეთესი შედეგი მქონდეს, ამიტომაც ვაპირებ საკუთარ თავზე მუშაობას და სწავლას“.

„მე ვარ თამუნა დოლიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი.

აბიტურიენტობიდანვე გააზრებული მქონდა, რომ დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო იყო თავდაუზოგავი შრომა და მიუხედავად სირთულეებისა, ყველა დაბრკოლების ღირსეულად გადალახვა. სწორედ ამგვარი მიდგომა დამეხმარა მეჩვენებინა ჩემი მაქსიმუმი და სახელმწიფო დაფინანსებით ჩავირიცხე სასურველ უნივერსიტეტში სასურველ ფაკულტეტზე. მართალია „სწავლის ძირი'' მწარე იყო, მაგრამ როცა შედეგი მოლოდინზე დიდია, ეს კიდევ უფრო სასიამოვნოა.

როცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვირჩევდი, ცხადია გავეცანი რას მთავაზობდა აღნიშნული უნივერსიტეტი. იმ უამრავ პუნქტს შორის, რომელიც საყურადღებოა პირველკურსელთათვის, იყო ძალიან მნიშვნელოვანი და სასურველი შეთავაზება ყველასთვის, პირველკურსელთა სტიპენდია, რეიტინგული სიის მიხედვით. თავიდანვე დავინტერესდი აღნიშნული ფაქტით, მაგრამ ვინაიდან ჩემ ფაკულტეტზე უდიდესი კონკურენციაა, მოლოდინი ნაკლებად მქონდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელი არაფერია და მეც აღმოვჩნდი სტიპენდიანტთა შორის, ვფიქრობ ეს ჩემი შრომის შედეგია და უდიდეს მოტივაციას მაძლევს სამომავლო მიზნებისკენ სწრაფვისთვის“.

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა
ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
სტამბაში